



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ და ლაზარსკის უნივერსიტეტი
პირველი საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია
„თანამედროვე გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“

16 მაისი, 2020

**ნაშრომის გამოგზავნის
ბოლო ვადა**

რეგისტრაციის ბოლო ვადა

ონლაინ პლატფორმა

მონაწილეობა უფასოა

2020 წლის 10 მაისი

2020 წლის 12 მაისი

Zoom.us

ორგანიზატორები

<p>თენგიზ თაქთაქიშვილი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>ევროპული ინტეგრაციის კვლევის ინსტიტუტი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ</p>	<p>მარტინ დალი, დოქტორი, პროფესორი ლაზარსკის უნივერსიტეტი დეკანი, ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი</p>
---	--	---

მთავარი სპიკერები

<p>თენგიზ თაქთაქიშვილი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ,</p>	<p>მარტინ დალი, დოქტორი, პროფესორი ლაზარსკის უნივერსიტეტი დეკანი, ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი</p>
--	---

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	
გიორგი ხარშილაძე, დოქტორი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია დახმარების ანალიტიკოსი	სევერინ ჰორნუნგი, დოქტორი, პროფესორი ინსბრუკის უნივერსიტეტი
ანდრეა აპოლონი, დოქტორი, პროფესორი ტორ-ვერგატას უნივერსიტეტი, რომი	

კონფერენციის მიზნები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, უდიდესი კერძო და ტექნოლოგიური მიღწევების თვალსაზრისით წამყვანი უნივერსიტეტი, იწყებს პირველ საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენციას, „თანამედროვე გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ პოლონეთის ლაზარსკის უნივერსიტეტთან ერთად, რომელიც გამოირჩევა განათლების მაღალი ხარისხით, რაც მას უკვე მრავალი წელია აყენებს პოლონეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უნივერსიტეტთა რეიტინგში.

ონლაინ კონფერენციის მთავარი მიზანია, მსოფლიოში არსებულ რთულ პერიოდში, მეცნიერებს, მკვლევრებსა და პრაქტიკოსებს შეუქმნას შესაძლებლობა, რომ თავიანთი კვლევები გაუზიარონ ერთმანეთს და სამეცნიერო საზოგადოებას.

ონლაინ კონფერენცია საშუალებას აძლევს მონაწილეებს გაცვალონ თავიანთი იდეები, გამოცდილება და შესთავაზონ იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა წინაშეც დღეს მსოფლიო დგას.

მსოფლიო იცვლება მკვეთრად და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, ლაზარსკის უნივერსიტეტთან ერთად, რომლებიც ცნობილნი არიან მათი უწყვეტი პროგრესისადმი ერთგულებით, უზრუნველყოფენ პარტნიორების მოძიების შესაძლებლობას გლობალურ დონეზე მომავალი თანამშრომლობისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ პირველი ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროებში ცოდნის მიღებას და დასრულებდა კერძო სექტორისა და მთავრობებისთვის გარკვეული რეკომენდაციების შეთავაზებით, კრიზისის შედეგებთან გასამკლავებლად.

მოწვევა ნაშრომების მისაღებად

ნებისმიერ ავტორს მსოფლიოს სხადასხვა ქვეყნიდან შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს კონფერენციის ფარგლებში ფასეულობის შექმნას, დასრულებული ან მიმდინარე ნამუშევრების წარდგენის გზით. კონფერენციისთვის საინტერესო თემები ფარავს საკიტხებს ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის სფეროდან.

ნაშრომები მიიღება შემდეგ საკითხებზე (და არა მარტო):

ეკონომიკა	ბიზნესი	მენეჯმენტი
თანამედროვე საკითხები ეკონომიკაში	საბანკო საქმე და ფინანსები	კრიზისების მენეჯმენტი
გლობალური ეკონომიკური კრიზისი	ბიზნეს კომუნიკაცია	საწარმოო რესურსების დაგეგმვა
განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა	ბიზნეს ეთიკა	ფინანსური მენეჯმენტი
ფინანსური ეკონომიკა	ელექტრონული ბიზნესის ტექნოლოგიები	მასპინძლობის მენეჯმენტი
ვალუტის გაცვლითი კურსი	ელექტრონული კომერცია და მეწარმეობა	კრეატიულობა და ინოვაცია
პროდუქტიულობა და ეკონომიკური ზრდა	მეწარმეობა	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
სოფლის მეურნეობის ეკონომიკა	მეწარმეობა კრიზისულ პერიოდში	მარკეტინგის მენეჯმენტი
საერთაშორისო ეკონომიკა	საერთაშორისო ბიზნესი	რისკების მენეჯმენტი
საერთაშორისო ვაჭრობა	მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

<p>სახელმწიფო ფინანსები</p> <p>საერთაშორისო დახმარება</p> <p>გადასახადები</p>		<p>მიწოდების მენეჯმენტი</p> <p>ქსელის</p>
---	--	---

აბსტრაქტის წარდგენა:

1. აბსტრაქტის სიტყვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას.
2. აბსტრაქტი უნდა იყოს გამოგზავნილი ინგლისურ ენაზე.
3. გთხოვთ, გამოაზავნეთ მოკლე ბიოგრაფია აბსტრაქტთან ერთად.

სრული ნაშრომის წარდგენა:

1. სრული ტექსტი უნდა შეიცავდეს აბსტრაქტს, საკვანძო სიტყვებს, შესავალს, მეთოდოლოგიას, შედეგების აღწერას, ცხრილებს, გრაფიკებსა და სქოლიოს.
2. ყველა წარდგენილი სტატია უნდა იყოს ორიგინალი, ადრე გამოუქვეყნებელი კვლევის შედეგები, ექსპერიმენტული ან თეორიული.
3. ნაშრომები დაუბრუნდება ავტორს იმ შემთხვევაში, თუ ინგლისური ტექსტი გამოცემისათვის დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება.
4. ხელნაწერები უნდა შეესაბამებოდეს კონფერენციის სტილს და ექვემდებარება როგორც განხილვას ასევე, რედაქტირებას;
5. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ნაშრომები გამოქვეყნდება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალში „SEU&SCIENCE” (<https://www.seu.edu.ge/en/1442/>) ან ლაზარსკის უნივერსიტეტის (პოლონეთი) ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ჟურნალში „Economic and Political Thought”.
(<https://mysl.lazarski.pl/en/about-us/>).

„SEU & SCIENCE ”-ში სტატიის გამოქვეყნების სახელმძღვანელო პრინციპები

აბსტრაქტი/ ნაშრომი უნდა შეიცავდეს ავტორის სახელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებას, ელ. ფოსტის მისამართს და იგივე ინფორმაციას ერთზე მეტი ავტორის შემთხვევაში.



ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Microsoft Word-თან თავსებად ფაილში. ტექსტის ფორმატი უნდა იყოს 8.5 x 11, სტრიქონებს შორის მანძილი ცალმხივი, 10 ზომის შრიფტი. გამოიყენეთ ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) სტილი.

ჟურნალ „Economic and Political Thought“-ის სამეცნიერო სტილი შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე <https://mysl.lazarski.pl/en/for-authors/>

დამატებითი ინფორმაციისათვის და აბსტრაქტის/ნაშრომის გამოსაგზავნად დაგვიკავშირდით:

სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის სამეცნიერო საქმიანობის მენეჯერი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ელ.ფოსტა: m.kepuladze@seu.edu.ge